

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე

მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში

(2013 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით)

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;

საანგარიშო პერიოდში სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 543 განცხადება, მათგან გაცემულია პასუხი 519 განცხადებაზე, ხოლო 24 განცხადებაზე მიმდინარეობს საქმის წარმოება (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მონაცემები);

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნას და შესაბამისად მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ადგილი არ ჰქონია.

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სააგენტოს მობილური ჯგუფის (დეპარტამენტის) უფროსი;

მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მობილური ჯგუფის (დეპარტამენტის) უფროსის მიერ;

უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა;

კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

**გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე;**

სააგენტოში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (დეს).სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ 2012 წლის 17 სექტემბრიდან ჩართულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (დეს). შესაბამისად, მონაცემთა ბაზების შექმნა ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება აღნიშნულ პროგრამაში.

**დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელეების დადების შესახებ;**

2013 წლის მანძილზე სააგენტოს საჯარო მოსამსახურეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები გამოყენებული არ ყოფილა.

**ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;**

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

**ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ;**

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.

**ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის**

თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების,  
მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ;

ზემოაღნიშნულ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.